
დედამიწის ჩივილი

Clean Up Georgia
დავასუფთაოთ საქართველო

წინამდებარე გამოცემა მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია კავშირი მდგრადი განვითარებისათვის „ეკოვიჟენი“-ს მიერ პროექტის „დავასუფთაოთ საქართველო – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ ფარგლებში

პროექტი დაფინანსებულია შვედეთის საელჩოს მიერ

ლექსების და ილუსტრაციების ავტორი: ქეთევან კალაძე

კონსულტანტები: ნინო სულხანიშვილი, მადონა პირველაშვილი

რედაქტორი: მაია ალუდაური

დიზაინერი: თამარ გრძელიძე

ecovision.ge

SWEDEN

www.cleanup.ge

# დედამიწის ჩივილი



რატომ მექცევით ასე?
მე ხომ არაფერს გიშავებთ,
თქვენ კი თითქოს ჯინაზე,
რაც მწვანე მაქვს, მიშავებთ...

დავალაგოთ გარემო
და ვიზრუნოთ ბუნებაზე,
დედამიწა ნაგვისაგან
დამდგარა ცუდ გუნებაზე.



ავად გახდა ბუნება,
გაუფუჭდა გუნება.
დავდგით ბევრი ურნა,
უცბად განიკურნა.




დედამიწას საჭიროება
ახლა ჩვენი ზრუნვა,
ამიტომაც საჭიროა
ფევრი ნაგვის ურნა.


ყველამ ერთად გავიხსენოთ,
რომ გავიდა ეს დრო,
ყოველი ფეხის ნაბიჯზე
ნაგავი რომ ეგდო.

მზე რომ იყოს ყვითელი
და... ყვავილები ჭრელი,
გავუწოდოთ დედამიწას
დახმარების ხელი...
ხე რომ იყოს მწვანე და...
ცაზე თეთრი ღრუბლები,
ამისათვის საჭიროა
შევქმნათ ეკო-კლუბები.







ჩვენს გარემოს ჩვენგან რომ
მოვლა - ზრუნვა აკლია,
ვაღიაროთ, ეს ჩვენი
უდიდესი ნაკლია...





# ნაგვის ურნების



# მიტინგი



ავყროლდი და, დამესივნენ ბუზები... ლექსის წერა მინდოდა და... გამოფრინდნენ მუზები ...
ამხელა ოჯახს რჩენა არ უნდა? მოგვაცით ნაგავი!
მოგვაქციეთ ყურადღება!
ვითხოვთ კუთვნილ ნაგავს!!!
თუ არ ვჭირდებით წავიდეთ...
მშია


ლამის არის ვიტირო
ისეთ დღეში ჩამაგდეთ.
მომიყვანეთ, დამაყენეთ,
უპატრონოდ დამაგდეთ
ვდგავარ შუა ქუჩაში
მწყურვალი და მშიერი,
ვეღარც მცნობენ, სულ დავკარგე
ნაგვის ურნის იერი...


ალარ დამრჩა სხვა გზა გარდა
დარდისა და ვარამის,
სულ მარტო ვარ ქუჩაში და...
არ ვჭირდები არავის.


მომაქციეთ ყურადღება
იქნებ როგორ მშია,
თან ნაგავი ჩემთვის კარგი,
თქვენთვის საშიშია !!!

ნაგავს ნაგვის ურნაში
აქვს თავისი ადგილი,
ამის დამახსოვრება
არის ძალზე ადვილი.
მთავარია მოინდომო,
დაინახო შედეგი,
შენ გაიგო და აუხსნა
ვინც ურნაში შემდეგი...



სეპარაცია ნიშნავს
დახარისხებას ნაგვის,
არ დავემსგავსოთ იმათ,
ვინც ჭუჭყში ზის და...
არ გვის!



ნაგავს უნდა დაკვირვება
და ის ჩვენგან ითხოვს შველას.
მინას, პლასტმასს, ლითონს, ქაღალდს
ნუღარ ჩავყრით ერთად ყველას.



გავუფრთხილდეთ იმას,
რაც გვაჭმევს და გვარჩენს,
ნუ ავურევთ ერთმანეთში
ნაჭმევს და ნარჩენს...



მერე რა, თუ გარემო
ნარჩენებით სავსეა,
ის ნახევრად ცარიელი
ჭიქა ჩვენთვის სავსეა.
ძალა არის ერთობაში,
ყველაფერი გამოვა,
თუკი გულით გინდა, მჯერა,
მზე ღამითაც ამოვა.



დაილალა დედამიწა,
დავეხმაროთ ჭრუნვაში,
დახმარება გამოვხატოთ
მოვლასა და ზრუნვაში.





ვერ ვიარსებებთ ცალ-ცალკე,
რადგან ვართ ერთი მთელი...
გავუწოდოთ ერთმანეთს
დახმარების ხელი.





ყოველ დილით ასე
ვესალმები მზეს ...



ქარისთვის მადლობას,
ასე ვუხდი ხეს ...




ერთი სახლი გვაქვს, მიწაც და ზეცაც
და სამწუხაროდ ვერ ხვდება ჩვენი,
რომ არის ერთი საერთო სახლის
ჩვეულებრივი ოჯახის წევრი ...